# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 486

„18" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონში, იოანე პეტრიწისა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072) ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №01/1071 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, "ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის, $4^1$ პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 7 დეკემბრის №04/22068 წერილის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონში, იოანე პეტრიწისა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072) ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №01/1071 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი